ცნობის ფურცელი

№ 2184 ოთხშაბათი, 18 ივნისი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2184

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის გ. ს. მუსხელაშვილისა.

(გედევანიშვილისკუთ)

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

მ. მ. მიქინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

მ. ლ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ა. ა. მადალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

მ. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ა. ზედგიანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მახმეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

ზრ. მ. ხოზოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ა. ა. მადალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.)

მეანობე ქალი ბ. დ. ნახარიძე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ხაჩიანშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში.) ტელეფონი № 274 (წლ.

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი იაწნაძისა. (წლ.)

ე ქ ი მ ი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642

კავკასიის აქეთა მხრის

რკინის გზის უფროსი

ამით აცხადებს, რომ 17 ივნისიდან 1 სექტემბრამდე მთხოვნელებს და იმ პირთ, ვისაც რამე საქმე აქვთ უფროსთან, მიიღებს კვირაში ერთხელ, სამშაბათობით, 1 საათიდან 2 საათამდე. (ნ. 3—1)

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—3-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ლორისმელიქოვის ქუჩა, 38. (წლ.

ს ი ა

„ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წევრთა, რომელთაც გადაიხადეს საწევრო ფული 1—15 ივნისის განმავლობაში:

№№	სახელი და გვარი	მ.	კ.
179	გიორგი სახსტარაშვილი . . .	6	—
180	კატო მაღნარაძე.	6	—
181	გიორგი ყაზახიშვილი.	6	—
182	ნიკოლოზ ბერიშვილი.	3	—
183	კარსევან რატიანი	6	—
184	ივანე ტ. ზოდუმარდენოვი . .	6	—
185	ანდრია კომელაური.	6	—
186	ნიკოლოზ ხახუტაშვილი. . . .	3	—
187	ი. რ—ძე	6	—
188	რაჟდენ ბ. ჯაფარიძე	6	—
189	თამარა დ. ჯიჯიგაძე.	6	—
190	იოსებ გველესიანი	6	—
191	სოფიო ს. ნიჟაძე	6	—
192	კონსტანტინე მ. კაკაბაძე . .	6	—
193	გიორგი გ. ნიჟაძე.	3	—
194	სიმონ ნ. კასრაძე.	3	—
195	გიორგი ზ. ჯაფარიძე.	3	—
196	ივანე ჩერქეზიშვილი	3	—
197	გრიგოლ ბურჯულაძე	6	—
198	ყარამან მ. ჩიქოვანი	6	—
199	ბეჟან ი. მეჯვედიშვილი. . .	3	—
20	თ. მიხეილ ქიზ. ამირაჯიბი . .	300	—
		405	—
	სულ ამ წლის განმავლობაში.	1674	35

საზღვარ-გარედ

—

ბალკანეთი. დიპლომატიურ წრეებში დიდის ინტერესით თურმე ადევნებენ თვალყურს ბოლგარიის სამხედრო სამზადისს: „თუმცა ყველა იმ აზრის არის, რომ ომის დაწყების პსიხოლოგიური მომენტი უკვე აღარ არის, მაგრამ სამხედრო მინისტრის ენერგიული მოქმედება—იარაღის და ცხენების ყიდვა, სურსათის დამზადება და სხვა—დიდათ მოსწონს ბოლგარელებს, თუმცა სამთავროს ფინანსიური მდგომარეობა ვერ არის მაინცა და მაინც კარგი. ამბობენ, ვითომც მინისტრს უნდა ეყიდოს ავსტრიაში 50.000 თოფი მანლიხერის სისტემისა სათადარიგო ჯარისათვის, რომელსაც აქამდე ძველის სისტემის თოფები ჰქონდა; დიდძალი სამხედრო მასალა შეუკვეთნია მთავრობას საფრანგეთში; გაგზავნილია საგანგებო კომისია რუსეთშიაც ცხენებისა და ჯარის-კაცის ტინისამოსის მაუდის საყიდლად. ისეთის აჩქარებით კეთდება ყველაფერი ეს, რომ უფრო მეტ ყურადღებას ეს აჩქარება იწვევს, ვიდრე თვით სამზადისი.

რაღა მდგომარეობაშია თვითონ მაკედონელების მოძრაობა? „ბერლინელ ტაგებლატ"-ი სწერს: „მაკედონიის სამ ვილაიეტში გაბნეულია ოთხმოცდა-ხუთამდე რაზმი რევოლიუციონერებისა; თითოეულ რაზმში იქნება არა ნაკლებ ასის კაცისა. რაზმების უფროსები შეთანხმდნენ, რომ, რაც შეიძლება, ერიდონ ოსმალეთთან შეტაკებას, რადგან უამისოდ მაკედონელი გლეხი ვერ მოუვლის ყანებს და აღარც სურსათი ექმნება. აგვისტოს დამლევს, პურის მომკის შემდეგ რაზმები მთელის თავის ენერგიით შეუდგებიან მოქმედებას მთელ მაკედონიაში; რაზმებთან ერთად იმოქმედებენ სამივე ვილაიეტის ბოლგარელი გლეხები".

რაც შეეხება ოსმალეთისა და ბოლგარიის ომს, ამავე გაზეთის კორესპონდენტი იწერება, რომ ბოლგარებს სრულებით არ აშინებს ამ ომის პერსპექტივა: ბოლგარიას შეუძლია გამოიყვანოს ომის ველზე 250 ათასი მშვენიერად გაწვრთნილი და მოწყობილი ჯარის-კაცი. ოსმალეთს შეეძლება გამოგზავნოს ბოლგარიის წინააღმდეგ სულ ნახევარი მილიონი ჯარის-კაცი, რადგან დანარჩენი ჯარი უთუოდ უნდა დარჩეს მცირე აზიაში იმპერიის საზღვრების დასაცავად. ბოლგარელ სარდლების აზრით, ომის დროს ოსმალეთის ჯარი უსათუოდ უნდა გაიშალოს დიდ სივრცეზე, ბოლგარიის ჯარს-კი შეუძლია უფრო ერთიანი და მჭიდრო მოძრაობა: ხეობების დასაცველად საკმარისი იქნება ვოლონტიორები, ჯარი აქ საჭირო აღარ იქმნება. გარდა ამისა, რადგან ბოლგარიის ტერიტორიაზე მოხერხებულად არის გაყვანილი რკინის გზები, ჯარების გადაყვანა საჭირო პუნკტებზე ადვილი იქმნება; ოსმალებს კი ეს არ შეუძლიანთ, რადგან არა აქვთ მოხერხებული რკინის გზები.

სერბიის, საბერძნეთის და რუმინიის საქმეში ჩარევისა ბოლგარებს არ ეფიქრებათ იმ იმედით, რომ სახელმწიფოები ნებას არ მისცემენ ხსენებულ სამეფოებს ჩაერიონ ოსმალეთ-ბოლგარიის შეტაკებაში.

შეიძლება ბოლგარიას მართლა კარგი ჯარი ჰყავდეს, ისიც შეიძლება ევროპის დიდ სახელმწიფოებმა ნება არ მისცენ ბალკანეთის დანარჩენ სამთავროებს ჩაერიონ ომში, მაგრამ მაინც საეჭვოა, რომ ბოლგარიის ჯარმა აჯობოს ოსმალეთის გაწრთვნილსა და გამოცდილ ჯარს. ის კია შესაძლებელი, რომ, როგორც არა ერთხელ გვითქვამს, ბოლგარიას საბერძნეთის ბედი დაემართოს: დამარცხდეს, მაგრამ, კრეტას არ იყოს, მაკედონია მაინც განათავისუფლოს.

◆ რევოლიუციონური მოძრაობა, სწერს ერთი გაზეთი, ახალ ფაზაში გადავიდა. მაკედონელების გაჟლეტამ, მთელ სოფლების დანგრევამ და განადგურებამ, ბოლგარელების უკიდურესმა მდგომარეობამ, თუ შეიძლება, კიდევ უფრო გააბრაზა აჯანყებულები და გადაწყვეტილი აქვთ ახალი აჯანყება მოახდინონ. რევოლიუციონერების ეხლანდელი შედარებითი სიწყნარე აიხსნება ორის მიზეზით: ჯერ ერთი, იმის იმედი ჰქონდათ, რომ სალონიკის საშინელ ამბების შემდეგ ევროპის სახელმწიფოები ჩაერეოდნენ საქმეში; მეორე ელოდნენ ბოლგარიის ახალ მთავრობის და ოსმალეთის მოლაპარაკების შედეგს. არც ერთი იმედი არ გამართლდა და აჯანყებულთა რაზმების მეთაურები ისევ შეუდგებიან ენერგიულ მოქმედებას.

◆ ფრანგულ გაზეთ „ტან"-ს არა სწამსრა მაკედონიის საქმის კეთილად დაბოლოვებისა. „ძნელია იწინასწარმეტყველოს კაცმა, თუ რა მიმართულებას მიიღებს მაკედონიის საქმე. შესაძლებელია, რომ ისევ ისე დარჩეს, როგორც ეხლა, ე. ი. საქმე საბოლოოდ არ გადასწყდეს. ამ ჰიპოტეზას აქვს თავისი საფუძველი: გამოცხადებული საერთო აჯანყება მაკედონელებისა აღარ მოჰხდა; ოსმალებისა და რევოლიუციონერების რაზმების განუწყვეტელ ბრძოლას არავითარი შედეგი არ მოჰყვა; დამარცხებული რაზმები ისევ იკრიბებიან და იწყებენ მოქმედებას გაბედულად; ისევ არეულობა, შიშიანობა და მოუსვენრობაა მთელ მაკედონიაში; მაგრამ ეს მაინც ის საერთო ცეცხლი არ არის, რომელსაც გვპირდებოდნენ. ბევრი ოცნებობდა, რომ მთელი მაკედონია ადგება და აჯანყების ცეცხლი მოედება მთელ მხარეს. მაკედონია გეოგრაფიული ტერმინია, მაკედონელი, როგორც ეგეთი, განყენებული ცნებაა, „მაკედონია მაკედონელებისათვის" მომავალის ოცნება და მუსიკაა, ცალიერი ფორმულა, რომელიც არ შეეფერება არც სინამდვილეს, არც შემუშავებულ პროგრამას, არც საერთო ეროვნულ მისწრაფებას. მაკედონიაში სცხოვრობენ ბოლგარები, ბერძნები, სერბები, ვლახები, ალბანელები; ეს ხალხები ერთმანერთს მტრულად უცქერიან; მათ შორის ღრმა უნდობლობაა, საუკუნოებით აღზრდილი მეტოქეობა. აჯანყება ბოლგარებმა დაიწყეს და ეს საკმარისა

ფელეტონი

—

ავსტრია და იტალია

(ირრედენტისმი)

იტალია ეგრედ წოდებულ „სამთა კავშირის" წევრია, მაშასადამე, ავსტრია და იტალია მოკავშირე სახელმწიფოები არიან, მათ შორის საკავშირო ხელშეკრულებაა დადებული. როცა ერთი სახელმწიფო მეორეს უკავშირდება, უთუოდ საერთო მიზნისათვის, საერთო მოქმედებისათვის. მიუხედავად ამისა, იტალიაში ეხლა-ხან დიდი მოძრაობა და დიდი მღელვარება ასტყდა ავსტრიის წინააღმდეგ. ამ მოძრაობამ და მღელვარებამ ზოგგან ისეთი ხასიათი მიიღო, რომ მთავრობა იძულებული გახდა მიემართა სასტიკ ღონისძიებისათვის, რათა სერიოზულ ხასიათის უკმაყოფილება და შესაფერი ღონისძიება არ გამოეწვია მოკავშირე ავსტრიისაგან.

უახლოესი მიზეზი იტალიელ ხალხის ასეთ მღელვარებისა იყო შემდეგი გარემოება: ქ. ინსბრუკში (ავსტრია), როცა იტალიელ სტუდენტებისათვის პირველად უნდა წაეკითხათ ლექცია იტალიურ ენაზე, გერმანელი შოვინისტები თავს დაესხნენ მათ, ძალმომრეობა იხმარეს და, რასაკვირველია, ლექციაც არ შესდგა. ეს ამბავი იყო უკანასკნელი მიზეზი ხსენებულ მოძრაობისა იტალიაში. გარეგნად, ზერელე თუ შევხედავთ ამ მოვლენას, აქ სერიოზული არაფერი არ უნდა იყოს: ინსბრუკში იტალიელ სტუდენტებს შეურაცხყოფა მიაყენეს, იტალიელებმა ეს იწყინეს და დემონსტრაციები გამართეს ავსტრიის წინააღმდეგ სამაგიეროს გადასახდელად. ნამდვილად კი ხალხის ეს მღელვარება არის შედეგი მეტად სერიოზულ პოლიტიკურ ელემენტისა, რომელსაც ირედენტისმს ეძახიან.

გაერთიანებული სამეფო იტალიისა იმ სახით, რა სახითაც ეხლა არის, შედარებით სულ ახალი მოვლენაა: რომი გახდა იტალიის სატახტო ქალაქად მხოლოდ 1870-ში. თითქმის მთელი მეცხრამეტე საუკუნე იტალიის ერი იბრძოდა გაერთიანებისა და დამოუკიდებლობისათვის. კალაბრიობის უკეთილშობილესი ნაწილი დიდის თანაგრძნობით ეკიდებოდა იტალიელ მამულისშვილების საქმეს; ბევრი უცხოელი იბრძოდა მათთან ერთად მშვენიერ იტალიის განსათავისუფლებლად და ამ უცხოელებ შორის ყველაზე საპატიო ადგილი გაუბედურებულ პოლონელებს ეკუთვნოდა...

იტალიის ერის ისტორიის უბრწყინვალესი ხანა არის ეს ბრძოლა გაერთიანებისა და განთავისუფლებისათვის, განსაკუთრებით 1850-დან 1860-მდე, და ამ გაერთიანებისა და განთავისუფლების შეურიგებელი მტერი იყო სწორედ ეხლანდელი მოკავშირე ავსტრია: მთელი ბრძოლა მიმართული იყო ავსტრიის წინააღმდეგ და გამოწვეული იყო ავსტრიის ძალმომრეობით პოლიტიკით იტალიაში.

ეგრედ წოდებული ლომბარდია-ვენეციის სამეფო ავსტრიის სამფლობელოს შეადგენდა. ტოსკანაში და იტალიის სხვა წვრილ სამთავროებში მეფობდნენ ავსტრიის ერცჰერცოგები. ნეაპოლისა და სიცილიის სამეფო დინასტია ნათესავი იყო ჰაბსბურგებისა და ავსტრიის იმპერატორების სრულ გავლენის ქვეშა და მორჩილებაში იმყოფებოდა. იტალიელ მამულისშვილების აშკარა თუ საიდუმლო მოქმედების მიზანი გაბატონებულ ავსტრიელების თავიდან მოშორება იყო, რადგან ავსტრია იყო მტარვალი იტალიის ერისა. ეს მტარვალობა მით უფრო აუტანელი იყო, რომ იტალიელი მოუხეშავ და მურტალ ავსტრიელ ჯარის-კაცთან შედარებით უფრო კულტუროსანი და ფაქიზი იყო.

სანამ მთელი ხალხი გაიღვიძებდა და გაბედულად იარაღს ხელს მოჰკიდებდა მტარვალის წინააღმდეგ, სანამ იტალიის აღორძინებისა და განახლების ხანა დადგებოდა, შეგნებულ იტალიელ მამულისშვილის სულიერი მდგომარეობა აუტანელი იყო. ავსტრიის სიძულვილი დედის რძესთან ერთად ჰქონდა შეთვისებული იტალიელს. მაგრამ ბოლოს ხალხის მოთმინების ფიალაც აივსო და შეუდგა განთავისუფლების საქმეს. ტანჯულ ხალხის შვილი, ყოველ დროისა და ყოველ ხალხის შეუდარებელი გმირი გარიბალდი არის ნამდვილი სახე გამოღვიძებულ და დამოუკიდებლობისათვის თავდადებულ იტალიელ ხალხისა.

იტალიელების საბედნიეროდ, გარიბალდისთან ერთად სხვა ნიჭიერი ხელმძღვანელებიც გაუჩნდნენ და გასულ საუკუნის სამოციან

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიქმნა, რომ სერბები გულ-გრილად დარჩენილიყვნენ და ბერძნები მტრები გამხდარიყვნენ.

ბოლგარელ რაზმების გაჩენა და საბერძნეთის ოსმალეთის მხარეზე გადასვლა ერთი იყო. სერბებმა, თუმცა ბოლგარებზე ნაკლებ არ იტანჯებიან, თითიც კი არ გაანძრიეს, რომ თანამოძმეებს დახმარებოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. როგორც ამბობენ, არც ერთი სერბი არ არის **აჯანყებულებ** შორისა. ოსმალოზე უფრო ბოლგარელ ქრისტიანს მეორე ტომის ქრისტიანი სძულს. აი, ამიტომ არის, რომ აქამდე არ მოჰხდა საერთო აჯანყება და, ალბად, არც მოხდება.“

საფრანგეთი და **იტალია**. იტალიის გარეშე საქმეთა ძველი მინისტრი პრინეტი ეხლა პარიზშია და, სხვათა შორის, ულაპარაკნია საფრანგეთისა და იტალიის დამოკიდებულებაზე. „მე ვამაყობ იმით, რომ პირველმა ალვძარ ლაპარაკი იტალიის მეფის მოგზაურობაზე პარიზში... ჩემი სამსახურიდან გადადგომა, რასაკვირველია, არ დამიშლის გავიხარო, რომ ჩემი განზრახვა ასრულდა. იტალიის მეფის მოგზაურობას მართლა დიდი მნიშვნელობა ექმნება... იმდენი საერთო ინტერესი აქვთ იტალიასა და საფრანგეთს, რომ სამწუხარო იქნებოდა, მათ რომ საერთო პოლიტიკა არა ჰქონდეთ. იმ გულწრფელ შეთანხმებას, რომელიც ეხლა არსებობს ორ სახელმწიფოებ შორის, უკვე მოჰყვა სასიკეთო შედეგი: იტალიასაც და საფრანგეთსაც გაუადვილდა ინგლისთან დამოკიდებულება.

ხმელთა შუა ზღვა ყოველთვის დარჩება ევროპის პოლიტიკის ცენტრად. დიპლომატების ცდა სულ აქეთკენ არის მიმართული; საფრანგეთსა და იტალიას კი დიდი სამფლობელოები აქვთ ამ ზღვაზე და მათი კავშირი და შეთანხმებული მოქმედება, საჭიროების დროს, იმდენად ძლიერი იქმნება, რომ სხვა სახელმწიფოებს აჯობებენ, და თუ მათ შორის მტრული განწყობილება იქნება, მხოლოდ ერთმანერთს დაასუსტებენ...

არსებული შეთანხმება რომ ფორმალურ კავშირად შეიცვალოს, საჭირო არ არის. როცა ერთი სახელმწიფო მეორეს ეკვრის კავშირით, რამე განსაზღვრული მიზანი უნდა ჰქონდეს. იტალიასა და საფრანგეთს ეხლა ასეთი მიზანი არა აქვთ... თუ იტალია სამთა კავშირის წევრი გახდა, ამისი მიზეზი იყო შიში, რომ საფრანგეთი ერთ მშვენიერ დღეს პაპს დაეხმარება იტალიის სამეფოს წინააღმდეგ. ეხლა ასეთი შიში აღარ არსებობს. ეჭვს გარეშეა, რომ ლუბე რომში ყოფნის დროს პაპთანაც შეივლის და ლეო მეცამეტე, რასაკვირველია, მას მიიღებს მიუხედავად იმისა, რომ არ უნდა მიიღოს ჩვენი მეფის სტუმარი. მაგრამ მიიღებს პაპი ლუბეს თუ არა, სულ ერთია: რომის პაპისა და საფრანგეთის მთავრობის შეთანხმებული მოქმედება შეუძლებელია“.

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 17 ივნისს, ტფილისის გუბერნატორმა გაუგზავნა ქალაქის მოურავს თხოვნა ტფილისის მოქალაქის ი. დ. სარაჯიშვილისა და წინადადება მისცა, წარუდგინოს იგი განსახილველად საბჭოს. სარაჯიშვილი თხოულობს, ნება მიეცეს შეადგინოს სააქციონერო საზოგადოება და გამართოს ცხენის **რკინის გზა ავლაბარში**—საყასბოდან კახეთის მოედნამდე. სარაჯიშვილმა ამ რამდენისამე ხნის წინად ასეთისავე თხოვნით მიჰმართა საბჭოს, მაგრამ იმას არ მიუღია თხოვნა და უთქვამს, საბჭოს უფლება არა აქვს ცხენის რკინის გზების გაკეთება სხვებს გადასცეს, თუ ბელგიის უსახელო საზოგადოება ნებას არ დაავრთავსო. ასეთის პასუხის შემდეგ სარაჯიშვილს გუბერნატორისთვის მიუმართნია.

◆ ტფილისში განაპირა ადგილებისთვის **ახალ საბოქაულოს** შედგენას ჰფიქრობენ. ამ საბოქაულო ნაწილში იქმნებიან ავჭალისა, დიღმისა, წყნეთისა, ოქროყანისა, ლილოსი და სხვა სასოფლო საზოგადოებანი, აგრეთვე განაპირა ადგილები ნავთლუხისა, ვერისა და სხვა. ამ საქმის განსახორციელებლად შესდგა გუბერნატორის თავმჯდომარეობით განსაკუთრებული კომისია. ჰფიქრობენ, ეს ახალი საბოქაულო ნაწილი ტფილისის მაზრის უფროსის უმცროს თანაშემწეს ჩააბარონ.

◆ ავლაბარში პირველ დაწყებით სკოლების გარდა, ერთად-ერთი **საქალაქო სასწავლებელია**. სასწავლებელს სადგომის ქირად ხაზინიდან ეძლევა ყოველ წლობით 2000 მან. შენობის გაფართოვებისა და დამატებით განყოფილების გახსნის შემდეგ სადგომის ქირად საჭიროა 3500 მან. ამ რიგად 1500 მანეთი არა აქვს სასწავლებელს. თუ ეს ფული ვერ იშოვნეს, დამატებითი განყოფილებანი დაიხურება და ბევრი ახალგაზდა სკოლის გარეშე დარჩება. გუშინ ავლაბრის 100-მდე მცხოვრებმა კოლექტიური თხოვნა გადასცეს ქალაქის გამგეობას და სთხოვეს დახმარება გაუწიოს. მცხოვრებნი ქალაქის თვით-მმართველობას სთხოვენ გადასდოს: 1903 წლისათვის 345 მან. 1904 წლისა 1195 მან. 1905 წლ.—1655 მან. და შემდეგ ყოველ წლობით 1680 მან.

◆ როგორც პოლონური გაზეთები გადმოგვცემენ, **კათოლიკეთა ეპისკოპოსი ბარონ როპპი** სარატოვიდან ვილნოში გადაჰყავთ.

◆ კავასიის სამოსწავლო ოლქის მთავრობას, როგორც „ტიფ. ლისტ.“ გადმოგვცემს, შუამდგომლობა აღუძრავს საერო განათლების სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ კავკასიის საშუალო სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულნი **ყაზანის უნივერსიტეტში** მიიღონ.

◆ განვლილ სამოსწავლო წელს ავლაბრის პირველ საქალაქო სასწავლებლის უფროს განყოფილებებში საცდელად შემოუღიათ **გერმანულისა და ფრანგულის ენის სწავლება**, იმ აზრით, რომ მოსწავლენი დასრულების შემდეგ ადვილად მომზადებულიყვნენ რეალურ სასწავლებელში გადასასვლელად ან სამსახური შესძლებოდათ სამრეწველო-სავაჭრო დაწესებულებებში. კურსების საქმე კარგად წასულა და მსურველიც ბევრი ყოფილა. სამწუხარო ის არის, რომ ღარიბთა შვილებს არ შეუძლიანთ ამ საგნებისთვის დამატებით ფულის გადახდა. ამ კურსებისთვის წელიწადში საჭიროა 400 მან. სასწავლებლის საპედაგოგიო საბჭომ სთხოვა ქალაქის თვით მმართველობას შეეწიოს 400 მანეთით.

◆ დღეს, 18 ივნისისთვის, დანიშნულია ტფილისის ქალაქის **საბჭოს კრება**. საბჭომ, სხვათა შორის, უნდა განიხილოს კომისიების სახელმძღვანელო წესები, შუამდგომლობა ლომბარდის გამგისა ლომბარდის თანხის გადიდების შესახებ, მოხსენება გამგეობისა ტფილისის აღწერის შესახებ და სხვა.. აგრეთვე სავალდებულო დადგენილებანი კვირა-უქმეობით შესვენების შესახებ.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განუმარტა **სახელოსნო სასწავლებლის** დირექტორს, რომ ბავშვების მიღების დროს უპირატესობა უნდა მისცეს ტფილისის მცხოვრებთა შვილებს და თუ ამის შემდეგ ადგილი იქნება, სხვებიც მიიღოს. ქალაქის მცხოვრებთა შვილები, რომელნიც წარადგენენ ქალაქის პირველ დაწყებით სკოლის გათავების მოწმობას, გამოუცდელად უნდა მიიღონ სახელოსნო სასწავლებელში.თუ ასეთი მთხოვნელნი ვაკანსიაზე მეტნი იქნებიან, მაშინ ბავშვების მიღება კონკურსით უნდა მოხდეს. თავისუფალ ვაკანსიების შესავსებად მოსწავლენი გამოიცდებიან იმ პროგრამით, რომელიც შემოღებულია ქალაქის პირველ დასაწყის სკოლაში. ეს განმარტებანი გუშინ გაეგზავნა დირექტორს.

◆ ფოსტა-ტელეგრაფის უწყების გადაწყვეტილებით, მალე ზუგდიდის მაზრის სოფელ ხოფში დაარსდება **საფოსტო განყოფილება**, ხოლო განჯის გუბერნიის სოფელ ყარაბულახში—საფოსტო და სატელეგრაფო განყოფილება.

◆ **ხევსურეთიდან გვატყობინებენ**: როშკის საზოგადოებამ განაჩენით გადასწყვიტა დააარსოს სკოლა. ეს სკოლა სოფ. ფაფარენაში გაიმართება ადგილობრივ კრებულის სახლში. სკოლას ერთ ოთახს დაუთმობენ. სწავლის საქმე ადგილობრივ მღვდელს ჩაჰბარდება. რადგან როშკის საზოგადოება კარგა დასახლებულ საზოგადოებას წარმოადგენს, ამიტომ მოსალოდნელია ბევრი ბავშვი მიაწყდეს ახალ სკოლას.

◆ **ამ ბოლო დროს ტფილისის მაზრის სოფელ სართიჭალაში გაჩნდა ყივანა-ხველა და წითელა.**

◆ **ტფილისის საკომერციო სასწავლებლის სადგომის შეკეთების შემდეგ ამ სასწავლებლის უმცროსი განყოფილება, რომელიც მოთავსებულია ზავრიევის სახლში, გადავა ახლად შეკეთებულ დიდ შენობაში.**

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ორშაბათს, 16 ივნისს, მოხდა ქალაქის საბჭოს უკანასკნელი კრება ამ ზაფხულს. საბჭომ ამ კრებაზედ მეტად საყურადღებო საქმეები განიხილა: 1. ინჟ. ფონ-შულცის მოხსენება ქალაქის ელექტრონით განათების შესახებ; 2. ხორცის დუქნების გამართვა; 3. საქალაქო საზოგადო ბანკის დაარსება; 4. ლომბარდის გამართვა; 5. ფერმასთან რიყის ამაღლება და სამოსახლო ადგილების გამართვა; 6. ამ საქმეებისათვის საობლიგაციო სესხის აღება. საბჭომ ყველა საკითხი შეიწყნარა ერთის გარდა, სახელდობრ: არ მოისურვა ხორცის დუქნების დაარსება.

◆ წელს წმიდა ნინოს სასწავლებლის მეშვიდე პარალელური კლასი გაათავა და ატესტატი მიიღო 25 ქალმა. ამათი გვარები: ბახტაძის, ბეჟანეიშვილის, გაფრინდაშვილის, გურგენიძის, გოროზიანის, გოლუბიოვის, ჯუღელის, დავიდოვის, დუმბაძის, ეზიკოვის, ჟუკოვის, კაკაბაძის, კანტაკუზინის, კიკნაძის, ქიქოძის, ყუბანეიშვილის, ლევბერგის, მამაგეიშვილის, მაჭავარიანის, მამაჯანოვის, ბ. მხეიძის, ხაბურზანიას, წულუკიძისა და ჩხეიძის ასულნი. ოქროს მედალი მიიღეს: კიკნაძისა და წულუკიძის ასულებმა; ვერცხლისა—გაფრინდაშვილის ასულმა. ამათ გარდა ორმა ქალმა კერძოდ დაიჭირა გათავების ეგზამენი. ესენი არიან: ნ. მხეიძისა და ზ. ერმალაევის ასულნი. კურს დასრულებული 20 ქართველია.

◆ ქალთა კერძო პროგიმნაზია გაათავა წელს 17 მოსწავლემ. იმათში თერთმეტი ქართველია, სამი რუსი, ერთი ბერძენი, ერთი სომეხი და ერთიც ფინლიანდელი. ქართველების გვარები: ბახტაძის, ბექაიას, ბერეკაშვილის, ბერეკაშვილის (ორია), გარეკლიძის, ჟღენტის, მატიუხოვის, ფეიქაროვის, სანიკიძის, ხოშტარიას და მუმლაძის ასულნი.

რუსეთის ქრონიკა

◆ უმაღლესმა მთავრობამ განმარტა, რომ საოსტატო სემინარიაში სწავლა-დამთავრებულთ სრული ეგზამენები უნდა დაიჭირონ სამაზრო სკოლის მასწავლებლის სახელის მისაღებადაო.

◆ უეცრად გარდაიცვალა „ნიჟ. ობოზრენიე“-ს რედაქტორი მ. მ. ფილიპოვი.

◆ „გრაჟდანინი“ სწერს: ჰფიქრობენ საგუბერნიო დაწესებულებათა რეორგანიზაციას. პროექტი უკვე შედგენილია. სხვათა შორის, აზრადა აქვთ პოლიცია დაუმორჩილონ ჟანდარმის შტაბ-აფიცერს. ამ შტაბ-აფიცერს ეწოდება მეორე ვიცე-გუბერნატორი ან პოლიციის უფროსი.

◆ საერო განათლების სამინისტროს სამოსწავლო კომიტეტმა საჭიროდ სცნო, რომ საკომერციო სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთ მიეცეთ გამოუცდელად მოწმობანი პირველ დაწყებით სკოლის მასწავლებლობისა.

◆ ამავე კომიტეტმა გადასწყვიტა დაარსდეს ერთგვარი წიგნთ-საცავები, რომელთა ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა შეიძლებოდეს. წიგნთ-საცავი უფასო იქმნება. პირველად ასეთ წიგნთ-საცავს დააარსებენ პეტერბურგის გუბერნიაში. ამ წიგნთ-საცავებთან გაჰყიდიან აგრეთვე სხვა-და-სხვა მარკებს, საწერ ქაღალდს,მელანსა დ კალამს.

◆ პეტერბურგის საბჭოში ახალ საქალაქო დებულების ძალით 162 ხმოსანი იქმნება. ამათ გარდა საბჭოს კრებებში მონაწილეობას მიიღებენ საპატიო მოქალაქენი და პეტერბურგის სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარე. ხმოსნებს ექვსის წლით ამოარჩევენ, მხოლოდ ორ წყებად.

წლებში თითქმის მთელი ნახევარი კუნძული აპენინისა და სიცილია განთავისუფლებული, „გამოსყიდული“ იყო ავსტრიელების მძიმე და აუტანელ უღლისაგან. დროებით იტალიელი სახელმწიფო მოღვაწეები შეურიგდნენ იმ გარემოებას, რომ ახალი იტალიის სამეფო არ შეიცავდა იტალიელების მთელსა და სრულ სამშობლოს, და სამეფოს შინაურ მოწყობას შეუდგნენ; მაგრამ მთავარი მიზანი მაინც არ ავიწყდებოდათ. იტალიის მეფემ, ვიკტორ ემანუილმა წარმოსთქვა მაშინ შესანიშნავი ფრაზა—„l' Italia è fatta, ma non compinta (იტალია გაკეთებულია, მაგრამ არა დასრულებული). ამითი მეფეს იმის თქმა უნდოდა, რომ ჯერ კიდევ დარჩა სამეფოს საზღვრებ გარედ შემოსაერთებელი ადგილებიო.

სამეფოს საზღვრებშიაც იყო პაპის სამთავრო, რომელიც არ ეკუთვნოდა იტალიის ახალ სამეფოს, მაგრამ ესეც მალე მოისპო და რომი გახდა სატახტო ქალაქად, რა-კი ნაპოლეონი დაეცა და ქომაგობას ველარ გაუწევდა რომის პაპს.

მიუხედავად საქმის ასე ბედნიერად დამთავრებისა, ძველი მტრული განწყობილება ავსტრიისადმი არ გამქრალა იტალიელებ შორის და ხშირად ამ გრძნობას უფეთქებია კიდეც თუ ხალხში, თუ პარლამენტში. თითქმის ყველა პირველი მინისტრები იტალიისა, ეხლანდელ ცანარდელით გათავებული, ისეთი პირები იყვნენ, რომელნიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ავსტრიელების წინააღმდეგ ბრძოლაში ორმოციან და ორმოც და ათიან წლებში,თუმცა როგორც მეფეები, ისე ეს მინისტრებიც ბევრსა სცდილობდნენ ფრთხილ პოლიტიკის გზას დასდგომოდნენ ავსტრიის მიმართ.

განთქმული კრისპი კიდევ უფრო შორს წავიდა. კრისპი ერთ დროს გარიბალდის მარჯვენა ხელი იყო, დიდი დემოკრატი და მხურვალე მამულიშვილი, მაგრამ ბოლოს, როდესაც დემოკრატიას უღალატა, უღალატა აგრეთვე გარიბალდისებურ მამულიშვილობასაც: მთელი თავისი ნიჭი და საკვირველი ხერხიანობა იმას მოახმარა, რომ იტალია საფრანგეთისთვის დაეშორებია და ავსტრიასთან და გერმანიასთან დაეახლოვებია. კრისპის მიზანი იყო, რომ ძლიერ მოკავშირეთა დახმარებით იტალიის სამეფო დიდ სახელმწიფოთა შორის ჩარიცხულიყო და ამ დიდ სახელმწიფოებსავით ენერგიულ საახალშენო პოლიტიკას დასდგომოდა. მართლაც, კრისპის მეცადინეობით, იტალიასა და საფრანგეთ შორის დიდი განხეთქილება ჩამოვარდა, ჯერ კიდევ „გამოუსყიდველი იტალია“ (Italia irredenta), რომელიც ავსტრიის ხელშია, იტალიელებს მიავიწყა და აფრიკაში დაიწყო საახალშენო პოლიტიკა.

მაგრამ სულ მოკლე ხანში კრისპი და მთელი მისი პოლიტიკა საშინლად დამარცხდა და დაეცა, დამოკიდებულება საფრანგეთთან ბევრად გაუმჯობესდა და გაიღვიძა „გამოუსყიდველ იტალიის“ განთავისუფლების სურვილმაც. კრისპის ბატონობას არ მოუკლავს „ირედენტისმი“, მიუხედავათ იმისა, რომ განთავისუფლების ხანის მოღვაწენი ერთი მეორეზე კვდებოდნენ და ახლებს უთმობდნენ სამოღვაწეო ასპარეზს. როგორც ძველები, ისე ახლებიც არ უშვებდნენ შემთხვევას, რომ არ მოეგონებიათ ერისა და მინისტრებისათვის, თუ რა მოვალეობა აწევს გამაგრებულ იტალიას უცხოელ მთავრობის უღელქვეშ დარჩენილ თანაშემამულეების წინაშე: ჩვენი მოვალეობაა ვიზრუნოთ მათ კეთილდღეობისა და თავისუფლებისათვისო.

მთავრობა, რასაკვირველია, ვერავითარ აქტიურ ღონისძიებას ვერ მიიღებდა ასეთ მოვალეობის ასასრულებლად, სამაგიეროდ თვითონ ხალხი მოქმედებდა და მოქმედებს: შედარებით ღარიბი იტალიელი ფულის გადახდას არ ერიდებოდა, რომ უცხო მთავრობის უფლების ქვეშ მყოფ თანამემამულეს დახმარებოდა თავის ვინაობის დაცვის საქმეში.

რას თხოულობს იტალიელების ირედენტისმი? პირველად ყოვლისა ტრენტისა და ტრიესტის შემოერთებას იტალიასთან, რადგან ავსტრიის ამ პროვინციებში იმ თავითვე იტალიელები შეადგენენ დიდ-უმრავლესობას. გარდა ამისა, იტალიას დიდი პრეტენზია აქვს ადრიატიკის აღმოსავლეთ ნაპირზე, სადაც ერთ დროს ვენეციის რესპუბლიკა იყო გაბატონებული. მართალია, აქ რიცხვით იტალიელები არ შეადგენენ უმრავლესობას, მაგრამ კულტურა კი იტალიანურია. ადრიატიკის აღმოსავლეთ ნაპირის დიდი ნაწილი ოსმალეთს ეკუთვნის და არა ავსტრიას, მაგრამ ირედენტისტები წინადვე ჰედავენ, რომ ოსმალეთის თან-და-თან დასუსტებასთან, ამა თუ იმ სახით აქ გაბატონდება ავსტრია, რომელიც ჩაიგდებს ხელში სოლუნსაც. ასეთ

ეროვნული

პრესსა

ვილნოში გამოდის „ვილენსკი ვესტნიკ"-ი. ეს გაზეთი პატრიოტობით თავს იქებს. საქმითაც ხშირად ამტკიცებს პატრიოტობას: ყოველთვის წინააღმდეგია ადგილობრივ მკვიდრთა შორის სწავლა-განათლების გავრცელებისა, უმაღლეს სასწავლებლის დაარსებისა, ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს შემოღებისა და სხვ. რუსეთის ზოგიერთ ადგილებში ლაპარაკი ჩამოვარდა საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ. ხსენებულ გაზეთის აზრით, ამისათვის საჭირო არ არის არც სკოლების დაარსება და არც სხვა რამე.

ყველამ ვიცით, განაგრძობს გაზეთი, პეტრე დიდმა როგორ წასწია წინ რუსეთი და როგორ გაავრცელა განათლება: მეფემ წერა-კითხვის არ მცოდნე აზნაურებს აუკრძალა ცოლების შერთვა. დღეს ხალხმა წერა-კითხვა არ იცის. რა გვიშლის ეხლაც პეტრეს კეტი ვიხმაროთ სწავლა-განათლების გასავრცელებლად. პეტერბურგის იუბილეის გამო შესაფერია ეხლა გამოიცეს მეფის ბრძანება:—აეკრძალოთ წერა-კითხვის არ მცოდნეთ ცოლის შერთვაო და მაშინ განხორციელდება დიდის ხნის სურვილი.

აი, ასეთ პროექტით უნდა ხსენებულ გაზეთს სწავლა-განათლების გავრცელება!

⁂

„ნოვოე ვრემია"-ს პეტერბურგში ჩინელი ვაჭრები დაუნახავს და დიდ შიშს მისცემია; ჩინელები აპირებენ შემოსევას რუსეთშიო. არ გეგონოთ, ცეცხლითა და მახვილით. არა, „ნოვ. ვრ."-მ კარგად იცის, რომ თოფით ჩინელნი ვერაფერს გააწყობენ ისეთ ძლიერსა და კარგად შეიარაღებულ სახელმწიფოსთან, როგორიც რუსეთია. გაზეთი სწუხს იმას, რომ ციმბირის რკინის გზის გამო ჩინელი ვაჭრები, ხელოსნები და მუშები ხელად მოედვნენ ციმბირს და იქიდან თან-და-თან შიდა რუსეთისაკენ იწევენ. „ყვითელი საფრთხეა", მაშ რა არის!

მართალია, ჯერ-ჯერობით საშიში არაფერია, მაგრამ ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ჩინელნი მალე შემოგვესევიან. ყველაზე მეტ დახმარებას ამ საქმეში ციმბირის გზა გაუწევთ, რომლის მეოხებითაც ჩვენ ციმბირის კოლონიზაციას ვფიქრობთ. აშკარაა, რომ ჩინელნი დაგვასწრობენ ციმბირის კოლონიზაციას.

საოცარი ის არის, რომ ჩინელნი ხელად ერევიან ახალ ხალხს, ზნე-ხასიათს და სხვას. ხსენებულ გაზეთის მოწმობით, ჩინელნი ხუთის თვის განმავლობაში მშვენივრად სწავლობენ ენას. რუსები? ბევრი რუსი ჩინეთში 10—15 წელიწადსა სცხოვრობს, მაგრამ ჩინური ენა მაინც არ იცის.

ტფილისის ქალაქის საბჭო

16 ივნისის სხდომა

1901 წლის 5 ივნისს მაშინდელმა ხმოსანმა ბ. ჰ. ვესელოვზოროვმა განუცხადა საბჭოს, რომ იმ წლისავე მარტის თვეში ათი წელიწადი შესრულდა, რაც დიდის მთავრის მეუღლე ოლღა თეოდორეს ასული გარდაიცვალა და ქალაქმა კარგად იცის, რამდენი ღვაწლი მიუძღვის დიდის მთავრის მეუღლეს ჩვენის ქვეყნის წინაშეო. ამიტომ ვსთხოვ ქალაქს, რაიმე საზოგადო საკეთილდო საქმით აღნიშნოს იმისი სახელიო. იმავე ივნისის 18-ს საბჭომ დაადგინა: პეტერბურგის ქალთა საექიმო ინსტიტუტში ორი სტიპენდია დაინიშნოს და ამისთვის ყოველ წლივ 84 თუმანი გაიღოს. ამას გარდა ხელის მოწერით შეიკრიბოს ფული დიდის მთავრინასათვის ძეგლის ასაგებად, ქალაქმაც ამისათვის ორასი თუმანი გაიღოს. შარშან მხატვარს-მექანდაკეს ბ-ნ ხოდოროვიჩს ცნობები წარუდგენია ქალაქისათვის, რომ დიდი ძეგლი 52.275 მანეთი დაჯდებაო.

ამ წლის 15 იანვარს საბჭომ ცალკე კომისია აირჩია ამ საქმის გამოსაკვლევად და განსახორციელებელ საშუალების გამოსაძებნად. მარტის 6-ს რიცხვს კომისიას დაუდგენია—1) რადგან ძეგლი სასახლის წინ, ქალთა 1-ლ გიმნაზიის გალავნის წინ, უნდა გაიმართოს და ამ ადგილას, სივიწროვისა გამო, დიდი ძეგლის აგება მოუხერხებელი იქნება, ამიტომ აიგოს მხოლოდ ბრინჯაოსაგან გაკეთებული ბიუსტის ძეგლი 2—$2^{1}/_{2}$ არშინის სიმაღლისა ქვის დასადგმელზედ; 2) ასეთი ძეგლი, ბ-ნ ხოდოროვიჩის გამოანგარიშებით, 10—12 ათასი მანეთი დაჯდება; 3) ქალაქს შეუძლია ორასი თუმანი დახარჯოს ამ საქმისათვის და 4) გაიმართოს ხელის მოწერა ტფილისში და ამ გზით შეიკრიბოს 8-დან 10 ათასამდე მანეთი. გუშინ-წინდელ სხდომაზე საბჭომ კომისიის მოხსენება დაამტკიცა.

გამგეობის წევრმა თავ. ჩერქეზიშვილმა მოახსენა საბჭოს, რომ წარსულის წლის ანგარიშში ზოგი ხარჯები სავსებით არ არის შესრულებული და საჭიროა ამისათვის წყარო აღმოაჩინონო. ამასთანა ხარჯები 81 ათას მანეთზე მეტი აღმოჩნდა. გამგეობამ შემდეგი წყაროები აღმოაჩინა ამ ხარჯების დასაკმაყოფილებლად: მნაცაკანის ბაღიდან შემოსული ფულით, რომელიც დღეს კიდევ აუღებლად რჩება ქალაქს ძველ მოიჯარადრისაგან—500 თუმანი, ძმათა ენიკოლოპოვებისაგან ქალაქის ავჭალის საიჯარო ფული 9820 მან., რკინის გზის გამგეობისაგან მისადები 2461 მანეთი; ფუნიკულერის აშენებელ კონცესიონერის ბ-ნ რობის მიერ ბედ წარმოდგენილი 500 თუმანი დღეს ქალაქს ეკუთვნისო და სხვა წვრილმანი შემოსავლებით სულ შეივსება ჯერ კიდევ შეუსრულებელი ხარჯებიო—მოახსენა გამგეობამ საბჭოს და საბჭომაც მიიღო ეს მოხსენება.

ქალაქის ლომბარდის 1902 წლის მოქმედების გამოსაკვლევად სარევიზიო კომისია იყო საბჭოს მიერ არჩეული. ამ კომისიამ გუშინ-წინ მოახსენა საბჭოს თავისი სარევიზიო ანგარიში. კომისიას ერთის მხრით სრულიად კანონიერად უცვნია ლომბარდის მოქმედება, მხოლოდ წმინდა მოგების განაწილებაში არ დასთანხმებია: კომისია იმ აზრისა იყო, ეს მოგება—13 ათას მანეთზე ცოტა მეტი ლომბარდის თანხას მიემატოსო. გამგეობისა და საფინანსო კომისიის შეერთებულ სხდომას-კი დაუდგენია: ლომბარდის წესდებისა და საზოგადო კანონის ძალით ლომბარდისაგან წმინდა შემოსავლის ნაწილი უთუოდ უნდა მოხმარდეს მცხოვრებთა განათლების საჭიროებას და ნაწილიც—საქველ-მოქმედო დაწესებულებათა დასახმარებლადაო. ამ ნაირად შეერთებული სხდომა ითხოვდა: 5609 მანეთი სკოლებისათვის გაიღოს, 2564 მანეთი—საქველ-მოქმედო საჭიროების დასაკმაყოფილებლად და დანარჩენიც—ლომბარდის თანხას მიემატოსო. საბჭომაც ეს აზრი მოიწონა.

შემდეგ შეუდგნენ ამ წლის ხარჯების განხილვას. გამგეობა და საფინანსო კომისია ზოგიერთ მუხლებში შეთანხმებულან ხარჯების გამოანგარიშებაში და სწორედ ამგვარი შეთანხმებული მოხსენება წარმოუდგინა გამგეობამ საბჭოს. ზოგი ხმოსანი (ა. ხატისოვი, ნ. ხუდადოვი და სხვ.) წინააღმდეგი იყო იმისა, რომ ხარჯები ამნაირად იქმნას განაწილებული საბჭოს მიერ. არ შეიძლება ასე ერთბაშად განხილვა ისეთ ხარჯებისა, რომელიც ქალაქის უპირველეს საგანს შეადგენს და გულ-დაჯდომით უნდა მოვეკიდოთ მასაო. შუადღემდე გააბეს ხმოსნებმა კამათი ხარჯების შესახებ და ბოლოს მიიღეს შეერთებულ სხდომის მოხსენება. გამგეობის მიერ შედგენილს ხარჯთ-აღრიცხვით ხარჯები ასი ათას მანეთზე მეტით აღემატებოდა შემოსავალს, მაგრამ შეერთებულმა სხდომამ ეს გარდამეტებული ხარჯები იმდენად შეამოკლა, რომ საბოლოოდ შემოსავალს შეუფარდა. ამგვარად შემოსავალიც და ხარჯებიც 1.438.600 მანეთზე დააყენა.

16 ივნისს უკანასკნელი მორიგი კრება იყო შემოდგომამდე, მაგრამ გასარჩევად მაინც ბევრი საქმე დარჩა საბჭოს. ამიტომ ერთი ან ორი კრება კიდევ იქმნება საბჭოს ამ მოკლე ხანში, მეტად საჩქარო საქმეთა გასარჩევად.

წერილი ხონიდან

ფოსტის მოხელეთა სიმცირე.—სწავლა-დამთავრებულნი.—საკვირაო სკოლა.—საზაფხულო თეატრი.

როგორც ხონის მცხოვრებნი, ისე მახლობლად მდებარე ათამდე სოფელი სარგებლობს ხონის საფოსტო-სატელეგრაფო განყოფილებით. ხშირად სოფლელი ამ განყოფილების ოთახში წერილით ან დეპეშით ხელში მთელი საათი და ხშირად ორი საათიც უცდის ფოსტის მოხელეს, რომელიც რიგ-რიგად იღებს ბარათებს და დეპეშებს. დეპეშას ხონის ფოსტაში საღამოს შვიდი საათის შემდეგ აღარ იღებენ. სამუშაო ბევრია ჩვენს ფოსტაში, მაგრამ მშრომელი ძალიან ცოტაა ამ ჟამად. ფოსტას ჰყავს ერთი უფროსი მოხელე, მეორე უმცროსი და მესამე წერილის დამტარებელი ბიჭი. ესენი ვერ ასდიან სამუშაოს. საჭიროა საფოსტო განყოფილებაში მოსამსახურეთა შტატის გადიდება. მაშინ შესაძლო იქნება დეპეშა ღამობითაც იგზავნებოდეს.

ხონსა და ქუთაისს შორის მოსიარულე დილიჟანსების პატრონებმა ამხანაგობა შეადგინეს, რაიცა საზარალოა მგზავრთათვის. წინად მედილიჟნენი ერთმანეთს მეტოქობას უწევდნენ და ფასს უკლებდნენ. დღეს ასე არ არის, ფასის დაკლება და ვაჭრობა წაყვან-წამოყვანისათვის შეუძლებელია, ზოგჯერ დანიშნულ ნიხრზე მეტს იღებენ მეეტლეები, ხაბაკ-ხუბუკის წიღებისაც ფასი დაადეს. რას იზამთ, შეერთდნენ და ძალაც იმათ ხელშია!

ხონის სკოლებში დაითხოვეს ბავშვები. საოსტატო სემინარიაში სწავლა დაამთავრა 9 კაცმა; ხონის საქალაქო სასწავლებელში—27 კაცმა (აქედან მხოლოდ ერთი რუსია); ქალთა კერძო პროგიმნაზიაში—8 ქალმა; ზოგმა ამათგანმა ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლიდან მიიღეს გამოცდის შემდეგ ოთხის კლასის მოწმობა, ორი, როგორც გადმოგვცეს, კიდეც მიუღიათ ქუთაისის გიმნაზიის მეხუთე კლასში. ხონის საქალებო მარიამის ოთხ-კლასიანი სკოლა დაუმთავრებია 9 ქალს.

ცხრა თვე შესრულდა, რაც [illegible] ხონში არსებობს საკვირაო სკოლა. სკოლა დაარსების დღიდან სიღარიბეშია. ორი განყოფილება ერთ ოთახშია მოთავსებული, სადაც ორი მასწავლებელი ერთად მეცადინეობს; ერთის მეცადინეობა აფერხებს მეორესას, აგრეთვე მეორისა—პირველისას. სიღარიბის გამო თვითეული ოთახი ვერ გვიშოვნია, რომ ცალ-ცალკე მოვათავსოთ. სკოლას სამოსწავლო ნივთებიც ძალიან ცოტა აქვს. გულმოდგინედ ეკიდება სკოლის საქმეს სკოლის ზედამხედველი ს. გორდელაძე. უფასოდ ასწავლიან დატაკთა შვილებს სკოლაში, როგორც აქაური, ისე სხვა ადგილებიდან მოსული ინტელიგენტი ქალები.

ხონის საზაფხულო თეატრში გაზაფხულიდან დაიწყო წარმოდგენები. ჯერ ხანად დაიდგა ოთხი წარმოდგენა. ყველაზედ საინტერესო იყო „გაცრუებული იმედები". ოთხსავე წარმოდგენას დარჩა ხარჯს გარდა 80 მანეთი. ამ ფულიდან წარმოდგენის გამმართველმა მსახიობმა 50 მანეთი დაუტოვა საქალაქო სკოლას, ცოტა ჩვენ საკვირაო სკოლასაც ერგო.

ილია ბახტაძე.

დაბა-სოფლები

—

ქვემო ხევი. (შოა). აქეთ ძალიან ცუდი ამინდია, მოსავალს კარგი პირი არ უჩანს. ძალიან მძიმე ზამთრისგან დატანჯული ხალხი სიხარულით მიეგება ზაფხულს, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. ცუდი ამინდები დადგა, საძოვარი ბალახი სრულებით არ მოვიდა და ამის გამო საქონელი უბალახობით შეწუხებულია. ქვემო ხეველებს 1903 წელს დაუდგა ახალი მამასახლისი, რომელიც ცდილობს რამე სარგებლობის მოტანას. ქვემო ხევი დარწმუნებულია, რომ აქამდე მამასახლისებისაგან შეწუხებულნი უწესოებისაგან ეხლა განთავისუფლდებიან.

სადგურის ბუფეტის მოსამსახურე ალ. ზაკუაძე ღამის 12—1 ს. ბუფეტიდან სხვაგან წასულა. ზაკუაძისთვის ვიღაცა ბოროტ-განმზრახველებს გზაში უცემიათ და წაურთმევიათ ხანჯალი, ქამარი, რევოლვერი და მასრები. ზაკუაძე ამბობს, სამი უცნობი კაცი დამხვდა, მცემეს და იარაღიც წამართვესო.

სოფ. ბერგეტს ეს ერთი წელიწადია, რაც გადამდები სენი მძვინვარებს. ბევრი გამოასალმა წუთისოფელს, მაგრამ შველა მაინც არსაიდან არის.

ბეშტაუ.

—

ველისციხე (კახეთი). ველისციხე ზოგიერთ სამაზრო ქალაქსაც არ ჩამოუვარდება. ჩვენის სოფლის დიდ ნაკლულევანებას შეადგენს ცუდი წყალი. აქ წყაროები არ არის და სამხრეთით ჩამომავალი ხევი კი, რომელსაც „შერემის-ხევს" უხმობენ, ხანდახან ისე ამოშრება ხოლმე, რომ [illegible] სამყოფიც არ მოიძებნება.

ამ ბოლოს დროს ჩვენში ძალიან გავრცელდა საქონლისა, ცხენისა და ხარ-ფურების პარვა-ტაცობა, აგრეთვე ვაზის ჭრა და სხვა-და სხვა ავაზაკობა. დღე არ გაივლის, რომ ჩვენს მოედანზედ, სადაც იკრიბება ხოლმე ჩვენი ინტელიგენცია, ლაპარაკი არ ჩამოვარდეს—„წუხელის ამა-და ამ კაცისთვის დაუტაცნიათ საქონელი, მოუპარავთ ცხენი და სხვ."...

ველისციხელი.

გარემოების თავიდან ასაცილებლად ირედენტისტები სცდილობენ დაუახლოვდნენ ალბანელებს, რომელნიც თავის მხრივ სცდილობენ იტალიის მიმხრობას და დახმარებას იმ შემთხვევისათვის, როცა ესენი განთავისუფლებას მოინდომებენ.

რაც შეეხება სლავებს—ხორვატებს, რომელნიც იტალიელებთან ერთად სცხოვრობენ ავსტრიაში, ირედენტისტები მათ მტრულად უცქერიან: იტალიაში არა მარტო ირედენტისტები ჰფიქრობენ, რომ სლავები რუსების ავანგარდია ბალკანეთზე, რუსეთი კი აქამდე მეტად საშიშარ რამედ მიაჩნიათ. გარდა ამ მიზეზისა, იტალიელებს აქვთ უფრო რეალური მიზეზი ხორვატების სიძულვილისა: არც ერთ ავსტრიის ხალხს არ შეუწყვია ისე ხელი ავსტრიელების გაბატონებისათვის იტალიაში, როგორც ხორვატებს; ავსტრიის მთავრობა ეხლაც სარგებლობს ხორვატებით, რომ იტალიელების საქმე შეამციროს და დაასუსტოს ავსტრიაში. ხორვატებიც შეუგნებლად ხელს უწყობენ ავსტრიის მთავრობის განზრახვებს და იმის მაგიერ, რომ ავსტრიელ იტალიელებთან შეთანხმდნენ და მათთან ერთად პასუხი გასცენ საერთო მტერს, მთავრობის იარაღად გამხდარან, რომ იტალიელების ეროვნულ მისწრაფებით ფრთები შეაკვეცონ.

იტალია ეჭვის თვალით უცქერის გერმანიასაც; იტალიელებს საბუთი აქვთ იფიქრონ, რომ გერმანიას თვითონ აქვს განზრახვა ხელში იგდოს ტრიესტი ხმელთა შუა ზღვაზე ფეხის მოსამაგრებლად; ამ შემთხვევაში ავსტრიას სალონიკით დააკმაყოფილებს და იტალიასაც რამე მისცემს. თუ ეს მოხდა, ირედენტისტები სამუდამოდ უნდა გამოეთხოვონ ტრიესტსა და ადრიატიკის აღმოსავლეთ ნაპირას. იტალიელი პოლიტიკოსები მით უფრო აქცევენ ყურადღებას საქმის ამ მხარეს, რომ გერმანელები სცილობენ დაამტკიცონ, იტალიას არა ჰქონია და არცა აქვს არავითარი ისტორიული უფლება ტრენტსა და ტრიესტზე. გერმანელებმა ხომ ეგრე იციან: როცა მიზანში რომელსამე მხარეს ამოიღებენ, ჯერ „მეცნიერ ისტორიკოსებს" გაუშვებენ ომის ველზე და დაამტკიცებინებენ, რომ თუ ვისმე რამე უფლება აქვს აღნიშნულ ქვეყანაზე, ისევ გერმანელები არიანო, და შემდეგ მოხერხებულ შემთხვევის დროს ეცდებიან იარაღით ხელში იგდონ იგი. გავიხსენოთ ფრიდრიხ დიდი და პოლონეთის განაწილება—პრუსიის მეფემ უბრძანა პრუსიელ მეცნიერებს, ძველი არხივები გადაებრუნებინათ და დაემტკიცებინათ, რომ პრუსიას იურიდიული უფლება აქვს პოლონეთზე. ესევე მოხდა ელზას ლორენის საქმეშიაც. ბერლინში ერთი განთქმული პროფესორი იყო ტრეიჩკე, იგი კათედრიდან უმტკიცებდა სტუდენტებს, რომ მეცნიერ ისტორიკოსს ზნეობრივი უფლება აქვს იცრუოს პატრიოტულ მიზნისათვის.

—

გარდა რამდენიმე არისტოკრატიულ ოჯახისა და კლერიკალებისა, მთელი იტალიის ხალხი ირედენტისტია და თუ ჯერ თავს იკავებს და აქტიურად არ სცდილობს ნატვრის განხორციელებას, ეს იმიტომ, რომ მოხერხებული შემთხვევა არ არის. აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: იტალიელი სოციალისტი სხვაზე ნაკლები ირედენტისტი არ არის. პარლამენტში, როცა მთავრობას შეეკითხნენ დემონსტრაციებისა და მათ წინააღმდეგ მიღებულ ზომების შესახებ, სხვაზე უფრო მხურვალედ დემონსტრანტებს სოციალისტი გამოექომაგა და პირდაპირ სთქვა: ჩვენ, სოციალისტები ბევრად უფრო ვემსახურებით და ვიცავთ ეროვნულ საქმეს, ვიდრე დანარჩენი პარტიებიო.

ეროვნული იდეა, ეროვნული გრძნობა იმდენად ძლიერია, რომ მთავრობათა კავშირები აქ ვერას გააწყობენ: თუ იტალიის მთავრობა მართლა წინააღუდგება იტალიის ერის სურვილსა და მისწრაფებას, ხალხი თავიდან მოიშორებს ასეთ მთავრობას.

ბისმარკმა სთქვა ერთხელ საფრანგეთისა და რუსეთის დამოკიდებულებაზე: რუსეთი სრულებით არ საჭიროებს ფორმალურ კავშირით შეეკრას საფრანგეთსაო; თუ გერმანიას ომი აუტყდა რუსეთთან, ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს ფრანგებს და უთუოდ ომში ჩაერევიან, რომ ელზას-ლორენი დაიბრუნონო. ავსტრია-იტალიის დამოკიდებულებაც ასეთია: თუ ავსტრიას ომი ექმნა და განსაცდელში ჩავარდა, იტალია უთუოდ ისარგებლებს შემთხვევით და ეცდება განახორციელოს თავისი ირედენტისმი.

ასე სუსტი და უღონოა საერთაშორისო კავშირები, როცა ისინი ანგარიშს არ აძლევენ ხალხების ინტერესებსა და გრძნობებს.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 ივნისი.

პორტ-არტური. ამერიკის დიდ ოკეანის ესკადრა საზაფხულოდ ჩიფუში შეიკრიბება. ნება დართეს, რომ თან სახლობებიც წაიყვანონ. კონსულ გროსეს თაოსნობით ინკოუში გახსნილ რუსულ-ჩინურ სკოლას ჩინელმა ვაჭრებმა გულწრფელად ფულით დახმარება აღმოუჩინეს. ჩინელები კარგის თვალით უცქერიან რუსეთისა და ჩინეთის დაახლოვებას.

მოსკოვი. 15 ივნისს მუშებისათვის დაქირავების მომწყობ კომისიის წლიურ აქტზე დიდძალის ხალხის თანადასწრებით ეპისკოპოსმა პართენიმ სამადლობელი პარაკლისი გადაიხადა. ყოვლად უსამღვდელოესმა აღფრთოვანებული სიტყვა წარმოსთქვა ხალხის განათლებაზე: ეს განათლება ეკკლესიის მფარველობის ქვეშ უნდა იყოს; შემდეგ გენერალ ბოგდანოვიჩის წერილი წაიკითხეს და იმისი ახალი გამოცემანი დაარიგეს; ამათში მუშებს ყველაზე მეტად ხელმწიფე-დედოფლის სურათები მოეწონათ.

პოლანგენი. ბანაობის სეზონი გაიხსნა.

ასხაბადი. მურგაბის ტოტის პირველ ნაწილის უფროსი ინჟინერი დატიშევი რემონტის მუშამ სპარსელმა მოჰკლა.

ხარკოვი. ბერნგეინგემის ამხანაგობის ქარხანას ცეცხლი წაეკიდა. დაიწვა ძველი ქარხანა, სადაც თიხის მილები მზადდებოდა. ახალი ქარხანა, სადაც თიხის ფილაქანს ამზადებენ, უვნებლად გადარჩა. ქარხანა ისევ მუშაობს. შენობა, მანქანები და საქონელი „როსიასა“ და „იაკორის“ საზოგადოებაში დაზღვეული. ზარალი—300 ათასი მანეთისაა.

სოფია. მთავარმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის ძალითაც მოხელეების შესახებ კანონის რამდენიმე მუხლი უქმდება, და ამით სამინისტროს მოხელეების თანამდებობიდან დათხოვნა გაუადვილდა. საქმეში ჩახედული წრეები ჰფიქრობენ, რომ ეს ღონისძიება ძლიერ პროტესტს გამოიწვევს პრესასა და საზოგადოებაში.—მაკედონიის მშვიდობიან ხალხს ისევ დევნა დაუწყეს. ეს დევნა ბოლგარელ მცხოვრებთ უფრო გაამწვავებს და კიდევ აფეთქებას მოახდენინებს.

ბევრს ლაპარაკობენ იმის თაობაზე, რომ ოსმალეთი დიდ სამზადისშია. ადრიანოპოლის ვილაეტში, საზღვარზე ოსმალეთის მოხელეები მარტინის სისტემის თოფებს ურიგებენ ყველას, ვისაც იარაღის ტარება შეუძლიან.

ახალი სტრელიცი. დიდის ჰერცოგის და იმის მეუღლის ბრილიანტის ქორწინების (პირველ ქორწინების 75 წლის თავზე) გამო დანიშნული დიდი დღესასწაული აღარ მოხდა, რადგან ჰერცოგის ავადმყოფობის გამო, უცხოეთის უმაღლესი პირები არ მოვიდნენ. დილით სამხედრო ორკესტრმა სერენადა შეასრულა. ნაშუადღევს სახალხო დღესასწაული გადაიხადეს. საღამოთი ქალაქი გაჩირაღდნეს.

პარიჟი. ბერბერაში მოსული სომალიელები ჰმოწმობენ, რომ მოლას ჯარმა ბოგატელეს ახლო 2 ათასი ადგილობრივი ჯარის კაცი და 40-მდე ინგლისელი ოფიცერი დახოცა. სამი ოფიცერი გამოქცეულა და 6 ივნისს ბერბერაში მოსულა.

მადრიდი. ახალის ცნობით, ბილბაო-სარაგოსის რკინის გზაზე მომხდარ უბედურების დროს—90 კაცი მომკვდარა, 100-ზე მეტი დაჭრილა.

17 ივნისი.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა და ხელმწიფე იმპერატრიცამ ალექსანდრა თეოდორეს ასულმა ინახულეს კრონშტადტის დიდი ნავთსადგური, სადაც დაათვალიერეს სასწავლო გემი „ოკეანი“.—პენზის გუბერნატორი გრაფი ადლერბერგი დანიშნულია პსკოვის გუბერნატორად.

ბელგრადი. საერო კრებამ შესწყვიტა მოქმედება ახალ არჩევნებამდის, რომლებიც 14-ს სექტემბერს მოხდება.

დამატებითი კრედიტი, რომელიც უნდა გადაიდოს ძველის მთავრობისაგან სამხედრო საჭიროებაზე გაწეულ ხარჯის დასაფარავად, წარედგინება ახალ საერო კრებას.

მადრიდი. იპოვნეს 111 გვამი იმ მგზავრთა რიცხვიდან, რომლებიც დაიხოცნენ ბილბაო-სარაგოსის რკინის გზაზედ მომხდარ უბედურების დროს.

ლონდონი. ლორდთა პალატამ მიიღო საფინანსო ბილლი უკამათოდ სამჯერ წაკითხვის შემდეგ.

ბელგრადი. ის განკარგულებები, რომლის ძალითაც მეფეს უნდა დამცველი ჯარის კაცები ჰხლებოდა ქუჩებ და ეკკლესიებში, გაუქმებულია; ამ გაუქმებამ მცხოვრებლები ძალიან გაახარა.

კონსტანტინოპოლი. სულთანმა ბელგრადის ელჩს ფეხტი-ფაშას უბოძა ოსმანიეს ორდენი პირველ ხარისხისა.

— პორტამ შეატყობინა რუსეთის და ავსტრო-უნგრეთის ელჩებს, ბოლგარიიდან მოსულმა რაზმმა, რიცხვით 80 კაცამდე, ჯუმაის კაზის მამასახლისი დეშკო დაიჭირა და მოჰკლა, რადგანაც დეშკომ კომიტეტის წევრები გასცა.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

სია

იმ პირთა, რომელნიც არჩეულ იქმნენ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წევრებად 1903 წ. 8 ივნისის წლიურ კრებაზე.

(მიღებულ იქმნენ მხოლოდ ისინი, რომელთაც სრულიად შემოიტანეს საწევრო ფული 6 მან.).

1, ავსარქისოვი იაკობ ფარსადანის ძე.
2, აბესაძე მღ. ივლიანე.
3, ამბროსი არქიმანდრიტი.
4, აბრამიძე ნოე ფილიპეს ძე.
5, ანდრონიკაშვილი ლევან გაბრიელის ძე.
6, არჩუაძე პავლე თევდორეს ძე.
7, აბაშიძე პეტრე პაატას ძე.
8, აბაშიძე გრიგოლ კონსტანტინეს ძე.
9, ანტონოვი დონ-მიქაელ.
10, აბშილავა ლუკა.
11, ასათიანი მღ. გიორგი.
12, აგლაძე ილია სვიმონის ძე.
13, ბაქრაძე გიორგი.
14, ბერძენიშვილი ექვთიმე.
15, ბაკურაძე მღ. ირაკლი.
16, ბეჟანიშვილი ნესტორ იოსების ძე.
17, ბერულავა ბაგრატ.
18, ბერულავა იოსებ.
19, ბურჭულაძე გრიგოლ იესეს ძე.
20, ბარკალაია გიორგი თეიმურაზის ძე.
21, ბერიძე ბიქტორ გიორგის ძე.
22, ბოკერია ლევან დიმიტრის ძე.
23, გორდაძე გიორგი თევდორეს ძე.
24, გიორგაძე ფრანჩისკე გრიგოლის ძე.
25, გუნდიაშვილი ალექსანდ. ელიზბარის ძე.
26, გეთაშვილი ვასილ.
27, გორგასლიძე ანნა.
28, გუგუშვილი ალექსი.
29, გაბუნია დომენტი.
30, გიორგაძე ივლიანე გიორგის ძე.
31, გედევანიშვილი იოსებ კონსტ. ძე.
32, გალუსტოვი ალექსანდრე ზაქარიას ძე.
33, გუგუშვილი ალექსანდრე დიმიტრის ძე.
34, გაჩეჩილაძე მიხეილ სპირიდონის ძე.
35, გამყრელიძე კონსტანტინე იოსების ძე.
36, გაბელია ევგენი დუგეს ძე.
37, გელოვანი პლატონ ლევანის ძე.
38, გრიგოლია იონა.
39, დავიდოვა მიხეილ.
40, დარჩია ფილიპე ნიკოლოზის ძე.
41, დგებუაძე დიმიტრი ნიკოლოზის ძე.
42, დევიძე მღ. ლავრენტი.
43, დოლაბერიძე მღ. ვასილ.
44, დევიძე მღ. სამსონ.
45, ესიავა პეტრე.
46, ერისთავი ანდრია მიხეილის ძე.
47, ზებედაშვილი იაკობ ზებედეს ძე.
48, თუმანიშვილისა კნ. მარიამ ალექსანდრეს ასული.
49, თვალჭრელიძე ანტონ ივანეს ძე.
50, თუმანიშვილი ალექსანდრე ალექ. ძე.
51, თუმანიშვილი ალექ. პავლეს ძე.
52, თურქია გიგო.
53, თურქია ნინო.
54, თუთბერიძე გალაქტიონ.
55, თევზაია სოლომონ პეპოს ძე.
56, იოსელიანი ნესტორ ნიკოლოზის ძე.
57, ივანიშვილი იოსებ ანდრიას ძე.
58, იაშვილი პეტრე ივანეს ძე.
59, იაშვილი ჯიბრაილ დავითის ძე.
60, იაშვილისა ბარბარე ყარამანის ასული.
61, კანდელაკი ნინო ნიკოლოზის ასული.
62, კალოიანი ი.
63, კოხრეიძე ალექსანდრე ილარ. ძე.
64, კორინთელი ვლადიმერ ალექ. ძე.
65, კობიაშვილი გიორგი ივანეს ძე.
66, კასრაძე სიმონ ნიკოლოზის ძე.
67, კაკაბაძე კონსტანტინე მოსეს ძე.
68, კილაძე დიომიდე ანტონის ძე.
69, ლორთქიფანიძე კონსტანტინე ფარნაოზის ძე.
70, ლაზარაშვილი გიორგი ანდრიას ძე.
71, ლაზარაშვილისა ეკატერინე გიორგის ასული.
72, ლოსაბერიძე სპირიდონ მიხეილის ძე.
73, ლოლუა ანდრია დავითის ძე.
74, ლოლუა ერისტო.
75, მელიქიშვილი ნიკოლოზ მიხეილის ძე.
76, მაყაშვილი ლეონიდ ივანეს ძე.
77, მაისურაძე გიორგი იოსების ძე.
78, მიშჩენკო მიხეილ პლატონის ძე.
79, მჭედლიშვილი ნიკო.
80, მირიანაშვილი მღ. ესტატე
81, მაღრაძე კორნელი ლუკას ძე.
82, მესხი ნიკოლოზ ვასილის ძე.
83, მაჭარაშვილისა ქეთევან დურმიშხანის ასული.
84, მხეიძე ილია სპირიდონისძე.
85, მაღრაძე მღ. ლუკა 100 მან.
86, მუხრანსკი დავით გიორგის ძე.
87, მარგიანი მღ. იოანე.
88, მახარობლიძე მღ. ბესარიონ.
89, ბაქრაძე მღ. დეკ. ესარტი.
90, მრევლიშვილი გიორგი რომანოზის ძე.
91, მუსხელიშვილი ვახტანგ სოლომონის ძე.
92, მაჭავარიანი დავით პაატას ძე.
93, მიქაბერიძე კონსტანტინე იოსების ძე.
94, მაღნარაძე კაცია.
95, ნიჟარაძე იოსებ პაატას ძე.
96, ნიჟარაძე ივანე ბესარიონის ძე.
97, ნიკოლოზ ბერი.
98, ნიჟარაძე თ. ვალერიან იაგორის ძე.
99, ოთხმეზური ნიკოლოზ გაბრიელის ძე.
100, ქვანია ანდრია პეტრეს ძე
101, რუხაძე ვარლამ ალექსანდრეს ძე.
102, სააკაშვილი პეტრე.
103, სააკაშვილი ედუარდ ზაქარიას ძე.
104, სალაყაია ვლადიმერ.
105, საბახტარაშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე.
106, ტარასოვი მიხეილ გიორგის ძე.
107, უტურაშვილი აბრამ ილიას ძე.
108, ფურცელაძე ქეთევან.
109, ქარუმიძისა ანნა მიხეილის ასული.
110. ქარცივაძე დავით ერდიშხანის ძე.
111. ქავთარაძე გიორგი ლევანის ძე.
112. ღამბაშიძე ტრიფონ.
113, ღოღობა იონა.
114, ყიფიანი დიმიტრი ალექსანდრეს ძე.
115, ყარაშვილი კონსტანტინე.
116, ყაზახაშვილი გიორგი ალექსის ძე.
117, ყიფშიძე მიხეილ ივანეს ძე.
118, შენგელია კარპე ფირანის ძე.
119, შუბნაშვილისა—ზუბცოვისა მართა.
120, ჩაკვეტაძე პავლე ნიკოლოზის ძე.
121, ჩაჩანიძე გრიგოლ.
122, ჩიმაკაძე იაკობ გიორგის ძე.
123. ჩარექაშვილი გიორგი პეტრეს ძე.
124. ჩიკვაიძე ნიკოლოზ მიხეილის ძე.
125, ჩეკურიშვილი დავით ივანეს ძე.
126, ჩხეიძე ალექსანდრე.
127, ჩიქოვანი ტარიელ.
128, ჩიხლაძე ბასილ.
129, ჩერქეზიშვილი თ. ივანე ონისიმეს ძე.
130, ჩხეიძე გიორგი გიორგის ძე.
131, ჩაჩანიძე ლეონტი გრიგოლის ძე.
132, ცაგარეიშვილი დეკ. გაბრიელ.
133, ციცქიშვილი მღ. ქრისტეფორე.
134, ციციშვილი ალექსანდრე თავ. ნიკოლოზის ძე.
135, წულუკიძე ვანო.
136, წერეთელი ილიკო.
137, წერეთელი სოლომონ.
138, წერეთელი ვასილ ჯიბრაილის ძე.
139, წერეთელი ტერენტი.
140, ჭრელაშვილი ნიკოლოზ იოსების ძე.
141, ჭავჭანიძე ერასტი ივანეს ძე.
142, ჭეიშვილი სიმონ ზაქარიას ძე.
143, ჭოლოშვილი გიორგი კონსტ. ძე.
144, ჭანტურია ავქსენტი.
145, ჭიპაშვილი მღ. ლუკა.
146, ხელაია მღ. პორფირე.
147, ხარაშვილი ილია მიხეილის ძე.
248, ხუცაიძე კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე.
149, ხოფერია ბესარიონ ლუკას ძე.
150, ხიზანაშვილი დავით ვასილის ძე.
151, ხიდაშელი მღ. ვასილი.
152, ჯუმუხაძე გიორგი დავითის ძე.
153, ჯუმუხაძე დიმიტრი დავითის ძე.
154, ჯუმუხაძისა ანნა ივანეს ასული.
155, ჯაფარიძე გიორგი კონსტანტინეს ძე.
156, ჯაფარიძე ვარლამ.
157, ჯაფარიძე თ. გიორგი ზაქარიას ძე.
158, ჯიჯავაძე თამარ დავითის ასული.
159, ჯაფარიძე ტრიფონ იასონის ძე.
160, ჯაფარიძე გრიგოლ როსტომის ძე.
161, ლოლაძე დიმიტრი ივანეს ძე.
162, ცინცაძე გიორგი.
163, ვარდიაშვილი მღ. დიმიტრი.
164, ფხაკაძე იაკობ.
165, ვარდიაშვილი იაკობ გიორგის ჩე.
166, ქიქოძე ნინო.
167, მოდებაძე კარპე
168, კანდელაკი რაჟდენ იოსების ძე.
169, საჯაია მიხოსტრი.
170, რეკვავა პეტრე,
171, თათარაშვილი დიმიტრი.
172, ძნელაძე დიმიტრი.
173, რაცმია დიმიტრი.
174, პოლუმორდვინოვი ივანე ტიმ. ძე.
175, კახიანი გიორგი ნიკოლოზის ძე.
176, მჭედლიშვილი ბეჟან იოსების ძე.
177, ივანიშვილი ივანე ალექსის ძე.
178, რატიანი გარსევან გიორგის ძე.
179, გომელაური ანდრია სოლომონის ძე.
180, ჯაფარიძე რაჟდენ ბარძიმის ძე.
181, ჩხეიძისა სოფიო სვიმონის ასული.

გამოსავალი ცხრილი

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერივანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ. 3).ს სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 08 წ. (2 [illegible] წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ზორაპნისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

განცხადებანი

დაბა ახალ-სენაკში

23-დან 29 ივნისამდე

გაიმართება იარმუკა,

რომელზედაც გაიყიდება სასოფლო ნაწარმოები, ცხენები, საქონელი და შინა მრეწველობის ადგილობრივი ნაწარმოები, ხოლო 29 ივნისს გაიმართება კავკასიელ ჯიშის ცხენების დოღი. მანძილი 7 ვერსი იქმნება. დარიგდება 100 მანეთის საჩუქრები.

(3—3) **სენაკის მაზრის უფროსი**

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლ. სიმაღ. პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—90)

ამა ივნისს 24-სთვის დანიშნულია **ჩოხატაურის** მეეტლეთა ამხანაგობის

საზოგადო კრება.

კრებამ უნდა ამოარჩიოს ახალი გამგე, რადგან ახლად არჩეულმა შარაშიძემ უარი განაცხადა და ძველი—მგელაძე აღარ რჩება. ამავე კრებაზე იქნება განხილული წლიური ანგარიში.

ვსთხოვთ ყველა წევრს დაესწროს კრებას ჩოხატაურში. კრება კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, რადგან მეორე-ხელ სდგება.

სარევიზიო კომისიის წევრნი: მღ. თ. მეგრელიშვილი, ი. მგალობლიშვილი, პ. მეგრელიშვილი. (2—2)

იყიდება

სამოსახლო ადგილები

ფასი 4-დან 7 მანეთამდე. არსენალის პირდაპირ. ორასი ნაჭერია გასასყიდი. იკითხეთ მაზუტის ქუჩაზე, № 4, ბარსკი.

(4—113—3)

ამერიკულ ვაზის სანერგეს

„კლოდ-უგურულ“-ში

ქუთაისის მახლობლად, საჭიროა მებაღე-მევენახე და აგრეთვე ბავშვები მევენახობის შესასწავლად. (2—2)

ცინკოგრაფია

ტფილ. გამოც. ქართველთა ამხანაგობის

განკის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდამ.

Дозв. ценз. Тифлисъ. 17 Іюня. 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва.)